მშვიდობის საერთაშორისო დღე

საკითხავი მასალა

მაია ბლიაძე

რას ნიშნავს საერთაშორისო დღეები?

საერთაშორისო დღეები გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შექმნამდე უკვე არსებობდა, მაგრამ გაერომ ისინი ამა თუ იმ საკითხისა და პრობლემის შესახებ ცნობიერების ამაღლების მძლავრ იარაღად გამოიყენა.

საერთაშორისო დღის გამოცხადება ნიშნავს, რომ საერთაშორისო საზოგადოება, რომელიც წარმოდგენილია გაეროს 193 წევრი სახელმწიფოს სახით, შეშფოთებულია კონკრეტული პრობლემის გამო.

თითოეული საერთაშორისო დღე ყველა დაინტერესებულ მხარეს აძლევს შესაძლებლობას, მოაწყოს ამ დღის თემასთან დაკავშირებული ღონისძიებები. გაეროს სისტემის ორგანიზაციებსა და ოფისებს, სახელმწიფოთა მთავრობებს, სამოქალაქო საზოგადოებას, საჯარო და კერძო სექტორს, სკოლებს, უნივერსიტეტებს და, ზოგადად, მოქალაქეებს შეუძლიათ ამ თუ იმ დღის აღნიშვნა ცნობიერების ამაღლების სიგნალად აქციონ.

როგორ ხდება საერთაშორისო დღეების გამოცხადება?

საერთაშორისო დღეები გაეროს გენერალური ასამბლეის გადაწყვეტილებით დგინდება, რათა ხაზი გაესვას შერჩეული ისტორიული მოვლენებისა და ადამიანთა ცხოვრების ასპექტების მნიშვნელობას და მიიპყროს მსოფლიო საზოგადოების ყურადღება. ორგანიზაციის ნებისმიერ წევრ ქვეყანას შეუძლია გამოიჩინოს ინიციატივა რომელიმე დღის საერთაშორისო დღედ გამოცხადების შესახებ, ხოლო რეზოლუცია მისი გამოცხადების თაობაზე მიღებული უნდა იქნეს კონსენსუსით.

საერთაშორისო დღეების თემატიკა მეტ-ნაკლებად უკავშირდება გაეროს საქმიანობის ისეთ სფეროებს, როგორებიცაა: საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნება, მდგრადი განვითარება, ადამიანის უფლებების დაცვა, საერთაშორისო სამართლის დაცვა და ჰუმანიტარული დახმარება. გენერალური ასამბლეა აკონკრეტებს საერთაშორისო დღის აღნიშვნის მიზანს.

ზოგიერთი დღე არა მხოლოდ გენერალური ასამბლეის, არამედ გაეროს გარკვეული სააგენტოების მიერაა დაწესებული. მაგალითად, პრესის თავისუფლების მსოფლიო დღე, რომელიც 3 მაისს აღინიშნება, ჯერ იუნესკომ (UNESCO) - გაეროს განათლების,

მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციამ დააწესა, მოგვიანებით კი გაეროს გენერალურმა ასამბლეამაც აღიარა.

რატომ არის საერთაშორისო დღეები პოპულარული?

საერთაშორისო დღეებისადმი (ასევე კვირების, წლებისა და ათწლეულებისადმი) მიძღვნილი მასალები გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პორტალზე ყველაზე მონახულებად რესურსებს შორისაა. მათი გაცნობა გაეროს ექვსივე ოფიციალურ ენაზეა შესაძლებელი.

საერთაშორისო დღეები გარკვეული საკითხებისადმი ინტერესის ერთგვარი მაჩვენებელია. გაერო ანალიტიკური ინსტრუმენტების საშუალებით ადგენს თუ რამდენად პოპულარულია ესა თუ ის საერთაშორისო დღე. მაგალითად, ადამიანის უფლებათა დაცვის დღე, რომელიც აღინიშნება 10 დეკემბერს, მთელ მსოფლიოშია პოპულარული, იმის გათვალისწინებით, რომ ამ დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები ჩვენი პლანეტის ბევრ რეგიონსა და ქვეყანაში ტარდება.

საერთაშორისო დღეებს შორის ყველაზე პოპულარულია ქალთა საერთაშორისო დღე (8 მარტი), წყლის მსოფლიო დღე (22 მარტი) და მშვიდობის საერთაშორისო დღე (21 სექტემბერი).

საინტერესოა, რომ 21 მარტს ხუთი სხვადასხვა საერთაშორისო დღე აღინიშნება, ხოლო ივნისის თვე ლიდერია ორგანიზაციის მიერ აღსანიშნავი დღეების რაოდენობით.

მშვიდობის საერთაშორისო დღე

მშვიდობიანი საზოგადოების შექმნა ზოგადსაკაცობრიო ამოცანაა. პრობლემის გადაჭრაზე მუშაობენ დიდი საერთაშორისო პოლიტიკური და თემატური ორგანიზაციები.

21 სექტემბერს მსოფლიო საზოგადოება მშვიდობის საერთაშორისო დღეს აღნიშნავს. გაეროს რეკომენდაციით, ამ დღეს კონფლიქტში მონაწილე მხარეებმა დროებით უნდა შეწყვიტონ საომარი მოქმედებები და დაამყარონ მშვიდობა. ორგანიზაცია ასევე მოუწოდებს ქვეყნის ლიდერებს, ყურადღება მიაქციონ ომის, შიმშილისა და

დაავადებების პრობლემებს, რომლებიც გავლენას ახდენს მილიონობით ადამიანის არსებობაზე მთელ მსოფლიოში და შეუერთდნენ ძალისხმევას მათთან საბრძოლველად.

მშვიდობის საერთაშორისო დღე გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მშვიდობის განმტკიცების დღედ გამოაცხადა ყველა ქვეყანასა და ხალხს შორის როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე.

ყოველწლიურად მშვიდობის საერთაშორისო დღე რომელიმე კონკრეტულ თემას ეძღვნება. ყოველი წლის თემა შთაგონების სახით ემსახურება სამშვიდობო ღონისძიებებსა და ქმედებებს მთელ მსოფლიოში, რაც სტიმულს აძლევს მსოფლიო საზოგადოებას, დაფიქრდეს და დაიცვას მშვიდობა სხვადასხვა გზით.

2010 – 2023 წლებში გაეროს ინციატივით მშვიდობის საერთაშორისო დღისთვის შერჩეული თემები იყო:

2010 წელი: ახალგაზრდობა მშვიდობისა და განვითარებისათვის

2011 წელი: მშვიდობა და დემოკრატია: გამოთქვი შენი აზრი

2012 წელი: მდგრადი მშვიდობა მდგრადი მომავლისთვის

2013 წელი: „განათლება მშვიდობისთვის“

2014 წელი: მშვიდობის უფლება

2015 წელი: პარტნიორობა მშვიდობისთვის – ღირსება ყველასთვის

2016 წელი: მდგრადი განვითარების მიზნები: „სამშენებლო ბლოკები“ მშვიდობისთვის

2017 წელი: ერთად მშვიდობისთვის: პატივისცემა, უსაფრთხოება და ღირსება ყველასთვის

2018 წელი: მშვიდობის უფლება - ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია 70

2019 წელი: კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლა მშვიდობისთვის

2020 წელი: ერთად ვიზრუნოთ მშვიდობაზე COVID-19-ის გავლენის წინააღმდეგ

2021 წელი: უკეთესი აღდგენა სამართლიანი და მდგრადი მსოფლიოსთვის

2022: დაასრულეთ რასიზმი, ააშენეთ მშვიდობა.

2023 წელი: მოქმედება მშვიდობისთვის: ჩვენი სწრაფვა გლობალური მიზნების მისაღწევად.

2024 წელს შესრულდა 25 წლისთავი გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ მშვიდობის კულტურისთვის დეკლარაციისა და სამოქმედო პროგრამის მიღებიდან. ეს დეკლარაცია აღიარებს, რომ მშვიდობა არის „არა უბრალოდ კონფლიქტის არარსებობა, არამედ პოზიტიური, დინამიკური და მონაწილეობითი პროცესი, რომელშიც წახალისებულია დიალოგი და კონფლიქტები წყდება ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობის სულისკვეთებით“.

2024 წლის თემაა „მსოფლიოს კულტურის წახალისება“. გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის (UNESCO) წესდება იწყება იმ იდეით, რომ „როდესაც ომები იწყება ადამიანთა გონებაში, სწორედ ადამიანთა გონებაში უნდა აშენდეს მშვიდობის დაცვა“. სწორედ ეს კონცეფცია ეფუძნება 2024 წლის მშვიდობის საერთაშორისო დღის თემასა და ლოგოს. მშვიდობის იდეები, მშვიდობის კულტურა, ყველგან უნდა გავრცელდეს ფორმალური და არაფორმალური განათლების საშუალებით.

მშვიდობის საერთაშორისო დღე ყოველთვის იყო საომარი მოქმედებების შეწყვეტისა და ზავის დამყარების საშუალება, მაგრამ ახლა ის ასევე უნდა დაეხმაროს ადამიანებს სხვა ადამიანის ადამიანად დანახვაში. ჩვენი მომავალი მასზეა დამოკიდებული.

გაეროს მშვიდობის დესპანი (United Nations Messengers of Peace) სპეციალური საპატიო წოდებაა, რომელსაც გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ანიჭებს "გამორჩეულ ადამიანებს, რომლებიც შერჩეულნი არიან ხელოვნების, მუსიკის, ლიტერატურისა და სპორტის სფეროებიდან, რომლებსაც აქვთ სურვილი და თანახმანი არიან, რომ

დაეხმარონ ორგანიზაციას და მოახდინონ მსოფლიოს ყურადღების ფოკუსირება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მუშაობაზე."

გაეროს მშვიდობის დესპანები არიან გამოჩენილი პიროვნებები, რომლებიც იყენებენ თავიანთ გავლენას და ცნობადობას გაეროს საქმიანობისა და მიზნების მხარდასაჭერად. ისინი ეხმარებიან მსოფლიოს მოსახლეობას გაეროს მისიების, პროგრამებისა და ინიციატივების შესახებ ინფორმაციის მიღებაში. გაეროს მშვიდობის დესპანები ინიშნებიან გაეროს გენერალური მდივნის მიერ.

გაეროს მშვიდობის დესპანების როლი და მოვალეობებია:

გაეროს მიზნების პოპულარიზაცია: მშვიდობის დესპანები ხელს უწყობენ გაეროს მისიების, პროგრამებისა და ინიციატივების შესახებ ცნობადობის ამაღლებას.

გლობალური საკითხებისადმი ყურადღების მიქცევა: მშვიდობის დესპანები ეხმარებიან საზოგადოებას გლობალური პრობლემების გაცნობიერებაში, როგორებიცაა მშვიდობა და უსაფრთხოება, ადამიანის უფლებები, განათლება, ჯანდაცვა და გარემოს დაცვა.

პარტნიორობა და თანამშრომლობა: დესპანები თანამშრომლობენ სხვადასხვა ორგანიზაციასთან, სამთავრობო უწყებებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, რათა გაავრცელონ გაეროს საქმიანობის შესახებ ინფორმაცია და ხელი შეუწყონ მისი მიზნების განხორციელებას.

ღონისძიებებისა და კამპანიების მხარდაჭერა: მშვიდობის დესპანები მონაწილეობენ სხვადასხვა ღონისძიებაში, კამპანიებსა და საზოგადოებრივ აქტივობებში, რათა გააძლიერონ გაეროს მიერ წამოწყებული ინიციატივები.

დესპანების დანიშვნა ხდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

ცნობადობა და გავლენა: პიროვნებები, რომლებიც საზოგადოებაში დიდი გავლენით სარგებლობენ.

საქმიანობა და აქტიურობა: პიროვნებები, რომლებიც აქტიურად არიან ჩართულნი სოციალურ, ჰუმანიტარულ და გარემოსდაცვით საქმიანობაში.

მნიშვნელობა და ავტორიტეტი: პიროვნებები, რომლებიც საზოგადოებისათვის ავტორიტეტულნი და მნიშვნელოვანნი არიან.

გაეროს ამჟამინდელი მშვიდობის დესპანები არიან:

მაიკლ დუგლასი - დაინიშნა 1998 წელს

ჯეინ გუდოლი - დაინიშნა 2002 წელს

იო იო მა - დაინიშნა 2006 წელს

ჰაია ბინტ ალ-ჰუსეინი - დაინიშნა 2007 წელს

დანიელ ბარენბოიმი - დაინიშნა 2007 წელს

პაულო კოელიო - დაინიშნა 2007 წელს

მიდორი გოტო - დაინიშნა 2007 წელს

შარლიზ ტერონი - დაინიშნა 2008 წელს

სტივი უანდერი - დაინიშნა 2009 წელს

ედვარდ ნორტონი - დაინიშნა 2010 წელს

ლან ლან - დაინიშნა 2013 წელს

ლეონარდო დი კაპრიო - დაინიშნა 2014 წელს

სკოტ ჯოზეფ კელი - დაინიშნა 2016 წელს

მალალა იუსაფზაი - დაინიშნა 2017 წელს

გაეროს ყოფილი მშვიდობის დესპანები არიან:

ენრიკო მაკიასი - დაინიშნა 1997 წელს

ელი ვიზელი - დაინიშნა 1998 წელს

მუჰამედ ალი - დაინიშნა 1998 წ

ანნა კატალდი - დაინიშნა 1998 წელს

ლუჩიანო პავაროტი - დაინიშნა 1998 წელს

ვიჯაი ამრიტრაჯი - დაინიშნა 2001 წელს

უინტონ მარსალისი - დაინიშნა 2001 წელს

ჯორჯ კლუნი - დაინიშნა 2008 წელს

ვანგარი მაათაი - დაინიშნა 2009 წელს

გაეროს მშვიდობის დესპანები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ გაეროს მისიებისა და პროგრამების მხარდასაჭერად, რაც ეხმარება ორგანიზაციას მიაღწიოს თავის მიზნებს გლობალური მშვიდობისა და კეთილდღეობის საკითხებში.

თუ გსურთ, მეტი შეიტყოთ გაეროს მშვიდობის დესპანების შესახებ, ეწვიეთ ინტერნეტბმულს: https://www.un.org/collection/54408/9228

მშვიდობის მსოფლიო დღე

მშვიდობის საერთაშორისო დღის გარდა, არსებობს "მშვიდობის მსოფლიო დღე" ან "მშვიდობის მსოფლიო ლოცვის დღე", რომელიც ყოველწლიურად 1 იანვარს აღინიშნება. ეს არის საერთაშორისო დღესასწაული, რომლის დროსაც მორწმუნეები მოუწოდებენ ღმერთს, შეწყვიტოს ყველა ომი და მშვიდობა მოუტანოს ხალხს დედამიწაზე.

„მსოფლიო ლოცვის დღე მშვიდობისთვის“ შედარებით ახალი დღესასწაულია (ძირითადად კათოლიკებისთვის), რომელიც კათოლიკური ეკლესიის მეთაურმა, პაპმა პავლე VI-მ 1967 წლის 8 დეკემბერს დააარსა.

"აპატიე და იპოვი მშვიდობას" არის მთავარი სლოგანი, რომლის მიხედვითაც "მსოფლიო მშვიდობის დღე" აღინიშნება. ყოველი ახალი წლის პირველ დღეს პონტიფიკოსი მიმართავს მორწმუნეებს თავის წინასადღესასწაულო სიტყვაში და ამახვილებს მათ ყურადღებას იმაზე, რომ ყველამ თავისი წვლილი შეიტანოს მშვიდობის საქმეში.

საინტერესო ფაქტები მშვიდობის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით

მშვიდობის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით გაგაცნობთ რამდენიმე საინტერესო ფაქტს, უჩვეულო სამშვიდობო ხელშეკრულებებისა და გაეროს შესახებ.

- მშვიდობა საზოგადოების ისეთ მდგომარეობაა, რომლის დროსაც არ არის შეიარაღებული კონფლიქტი ან რაიმე სხვა სახის სამხედრო ძალადობა.

- მშვიდობის შემსწავლელ მეცნიერებას ირენოლოგია ჰქვია.

- ექსპერტის, რობერტ ჯექსონის მონაცემებით, 1945 წლის შემდეგ დედამიწაზე სულ 26 მშვიდობიანი დღე იყო.

- მსოფლიოში ყველაზე მასშტაბურ სამშვიდობო შეთანხმებად შეიძლება მივიჩნიოთ ტორდესილასის ხელშეკრულება, რომელიც 1494 წლის 7 ივნისს ტორდესილასში (ესპანეთი), რომის პაპის ალექსანდრე VI-ის ინიციატივით,

ესპანეთსა და პორტუგალიას შორის დაიდო. მხარეებმა მთელი დედამიწის გაყოფა გადაწყვიტეს, ატლანტის ოკეანის გასწვრივ ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ სადემარკაციო ხაზის გავლებით. ხელშეკრულების საფუძველზე, დადგენილ იქნა გამყოფი ხაზი, დასავლეთ გრძედის 46°-იანი მერიდიანი, რომლის დასავლეთით აღმოჩენილი ყველა ახალი ტერიტორია ესპანეთის საკუთრებად, ხოლო მისგან აღმოსავლეთით აღმოჩენილი ახალი მიწები პორტუგალიის სამფლობელოებად ცხადდებოდა. თუმცა შემდგომში პორტუგალიელებმა დაარღვიეს ეს ხელშეკრულება, გამყოფის ხაზის დასავლეთითაც აითვისეს მიწები და შექმნეს კოლონია ბრაზილია.



- კუნძული ჰანსი, რომელიც კანადასა და კუნძულ გრენლანდიას შორის, ჩრდილოეთ ყინულოვან ოკეანეში, კენედის სრუტეში მდებარეობს, მცირე ზომის დაუსახლებელი კლდოვანი კუნძულია, რომლის ფართობიც სულ რაღაც 1,3 კმ^2-ია. მას სახელი გრენლანდიელი მოგზაურის ჰანს ჰენდრიკის პატივსაცემად ეწოდა.
  კუნძული კანადისა და დანიის ტერიტორიული წყლების საზღვარზე მდებარეობს. კონფლიქტი ჰანსის კუნძულის თაობაზე 1933 წელს დაიწყო, როდესაც დანიამ საერთაშორისო სამართლის მუდმივმოქმედ პალატაში სარჩელი შეიტანა და კანადას სასამართლო მოუგო. ამ გადაწყვეტილებაში

კორექტივები მეორე მსოფლიო ომმა შეიტანა, როდესაც ერთა ლიგა და, შესაბამისად, საერთაშორისო სამართლის მუდმივმოქმედი პალატა გაუქმდა და შეიქმნა გაერო და მისი საერთაშორისო სასამართლო. გაუქმდა ჰანსის კუნძულის შესახებ მიღებული გადაწყვეტილებაც, თუმცა ეს მაშინ არავის ახსოვდა.



კონფლიქტი 1973 წელს, მას შემდეგ განახლდა, როცა ორივე ქვეყანამ - კანადამაც და დანიამაც - საზღვაო საზღვრების სადემარკაციო ხაზის გავლება გადაწყვიტა. დანია, გრენლანდიის პროტექტორი იყო და მის საგარეო პოლიტიკურ საკითხებს განსაზღვრავდა, მათ შორის, სასაზღვრო დავებსაც.

მიუხედავად იმისა, რომ დანია და კანადა ყველა სხვა საკითხზე შეთანხმდნენ, ჰანსის კუნძული დღემდე ე.წ. "განხეთქილების ვაშლის" როლს თამაშობს. საკითხი 2004 წელს კიდევ უფრო მკვეთრად დაიძაბა, რადგან კანადამ კუნძულის სამხედრო მიზნებისთვის გამოყენება გადაწყვიტა. მან კუნძულზე კანადის დროშა აღმართა და კუნძულზე თავისი

თავდაცვის მინისტრიც გაგზავნა. დანიამ ამ საკითხზე სასწრაფოდ ნოტა აფრინა გაეროში.

1984 წელს დანიის მინისტრმა გრენლანდიის საკითხებში კუნძულზე, კანადის დროშის გვერდით დატოვა შნაპსი და ბანერი წარწერით: "მოგესალმებით დანიის სახელმწიფოს ტერიტორიაზე".

ამ ფაქტის შემდეგ, შეიძლება ითქვას, რომ ორ ქვეყანას შორის სასმელის დატოვების ტრადიცია დამკვიდრდა: კანადისა და დანიის მხარეთა წარმომადგენლები რამდენიმეთვიანი ინტერვალით რიგრიგობით ჩადიოდნენ კუნძულზე, ხსნიდნენ მოწინააღმდეგის სახელმწიფო დროშას და თავიანთ დროშას აღმართავდენ. შემდეგ კი კუნძულის "დაპყრობის" აღსანიშნავად მეზღვაურები იმ სასმელებს სვამდენ, რომელსაც მათ მოწინააღმდეგე უტოვებდა - დანიელი მეზღვაურები კანადელების შნაპსს, ხოლო კანადელები - დანიელების დატოვებულ ვისკის. ამის გამო, დაპირისპირებას "ვისკის ომი" უწოდეს.

კონფლიქტი 2022 წელს დასრულდა და კანადის დედაქალაქ ოტავაში ხელი მოეწერა ხელშეკრულებას, რომლის მიხედვითაც კუნძული ჰანსი ორ მხარეს შორის თითქმის თანაბრად გაიყო - ტერიტორიის 60% დანიას გადაეცა, ხოლო 40% კანადას. შეთანხმებაზე ხელმოწერის შემდეგ, კანადის საგარეო საქმეთა მინისტრმა მელანი ჟოლიმ განაცხადა: "ჩვენ ვქმნით პრეცედენტს, ჩვენ ვაჩვენებთ სხვა სახელმწიფოებს,

როგორ გადაწყვიტონ ტერიტორიული დავები". მან ასევე იხუმრა, რომ კანადა, რომელსაც ახლა სახმელეთო საზღვარი აქვს ევროპულ ქვეყანასთან, ევროვიზიის სიმღერის კონკურსში მონაწილეობის მიღებას შეძლებს.

- გაეროს ისტორიაში ყველაზე გრძელი გამოსვლა გენერალური ასამბლეის ტრიბუნიდან კუბის პრეზიდენტს, ფიდელ კასტროს ჰქონდა 1960 წელს. მან ოთხნახევარი საათის განმავლობაში ისაუბრა და ეს რეკორდი ჯერაც არ არის მოხსნილი.

- მშვიდობის მომხრეთა პირველი მსოფლიო კონგრესი 1949 წელს პარიზსა და პრაღაში ჩატარდა. ამ კონგრესის ემბლემა პაბლო პიკასომ შექმნა. ემბლემაზე გამოსახულია თეთრი მტრედი, რომელსაც ნისკარტით ზეთის ხილის ხის ტოტი უჭირავს.

გამოყენებული წყაროები და სასარგებლო ბმულები

https://www.un.org

https://www.un.org/en/observances/list-days-weeks

https://www.internationaldays.org/

https://sdgs.un.org/goals

https://www.un.org/sustainabledevelopment/sustainable-development-goals/

https://www.un.org/collection/54408/9228